

572
1981



60388060 № 11

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԿՈՄՄՈՆԻՍՏԱԿԱՆ ԿՈՆԿՐԵՏ

ზეიშია შინ და გარემო

გივი ძანაღაძე

— ქუნებში და მოედნებზე
ნეტავ ეს რა ხმაურია?!

— ტქტომბერი მთაბიჯებს,
დიდი დღესასწაულია!

მალალ ხაზლებს სიმღერებით
აუვლიან, ჩაუვლიან...

ზეიშია შინ და გარეთ,
დიდი დღესასწაულია!

პატარებსაც დიდებისთვის
ხელი ხელში ჩაუვლიათ;
ტქტომბერი შოგუფუნებს,
დიდი დღესასწაულია!

სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი —
მზის მსურველობა გარს რომ ავლავს

ასე მოიგახვას გენერალი

ერთხელ წითლების სახელოვანი მეთაურის, დივიზიის უფროსის, კიკვიძის წინააღმდეგ კაზაკების რაზმი გაგზავნეს გენერალ სიტნიკოვის ხელმძღვანელობით. თეთრებს კიკვიძის დივიზიას ეწინააღმდეგებოდათ და გადაწყვიტეს კიკვიძის საბრძოლო გეგმების შესატყობად მისი ჯარის ნაწილებში თავიანთი მზვერავი შეეპარებინათ. იმ მზვერავს თეთრების გენერალი სიტნიკოვი პირადად არ იცნობდა, მაგრამ ოფიცრებმა დაარწმუნეს, გამოცდილი კაცი იყო.

კიკვიძის გულადი მებრძოლების მოტყუება არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. მათ შეიპყრეს თეთრების ჯაშუში კაპიტანი და მეთაურს მიჰგვარეს. კიკვიძემ იფიქრა, თეთრებს მათივე ხრიკით მოვატყუებ და რასაც აპირებენ, იმასაც გავიგებო. მან ორი გამბედავი წითელარმიელი შეარჩია, კაზაკების ფორმა გადააცვა, მკერდზე მეფის ჯვარმედლები ჩამოჰკიდა, თვითონ კი დატყვევებული კაპიტნის წითელ ჩოხა-ახალუხში გამოეცხა და გენერალ სიტნიკოვის შტაბში გასწია.

კიკვიძის მხრივ ეს დიდი გამბედაობა იყო, რადგან მტრის ბანაკში რომ ეცნოთ, სიკვდილი არ ასცდებოდა.

გენერალ სიტნიკოვს თავი დიდ მთავარსარდლად მოჰქონდა და ყველას არწმუნებდა, კიკვიძის დივიზიას მე გავანადგურებო.

და აი, მას მოახსენეს, კიკვიძის დივიზიაში გაგზავნილი კაპიტანი დაბრუნდა და პირადად თქვენი ნახვა სურსო. გენერალმა ყველა დაითხოვა და გადაცემული კიკვიძე დიდი აღტაცებით მიიღო.

კიკვიძემ გენერალი დაარწმუნა, წითლები ძლიერ „დაშინებულები“ არიან და მათი მეთაურიც მალე ხელში ჩაგვივარდებათო.

— არა, არა, — უთხრა გენერალმა, — მე მხოლოდ მასინ დაგმეფიდები, როცა იმ წყეულ კიკვიძეს სიცოცხლეს გამოვასალმებთ. თუმცა არა, უფრო საინტერესოა ცოცხლად ჩავიგებთ ხელში. კაპიტანო, თქვენ უნდა მოიყვანოთ იგი ჩემთან ხელფეხსეკრული.

— ის თქვენს წინაშე დგას! — უთხრა მშვიდად კიკვიძემ, რეჟოლვერი ამოიღო და ანიშნა, დამემორჩილო.



მინარძეს

აბაგოსი ღონისძიება

ოქტომბრულთ, ჩაგობლუჯავს
ხელში დროშის ტარი.
მოაბიჯებ, მოიმღერი,
მოგაქვს მთა და ბარი.

ყველაფერი, რასაც ირგვლივ
ვერ გასწვდება თვალი,
გინართდეს, გინართდეს,
მხოლოდ შენი არი.

ეს არხები, ეს ბაღები,
ეს ქარხნების ჯარი—
ყველაფერი, ყველაფერი
რასაც ხედავს თვალი—
გინართდეს—მხოლოდ შენი,
მხოლოდ შენი არი!

აი, პირველი! აი, პირველი!

რის სიყვარულიც მე მისწავლია!

ბალატიონი

ახლა კი მიხვდა გენერალი, რაც დაემართა, მაგრამ რა-
ლას იზამდა, ხმა რომ ამოელო, კიკვიძე მაშინვე სულს გაა-
ფრთხოვინებდა. ამიტომ მორჩილად მოიხურა მახარა და
უხმოდ გაყვა უკან. კიკვიძის მხლებლებად გადაცმულმა
ნითღარმიელებმა კი მოხვეტეს თეთრების შტაბის საი-
დუმლო საბუთები და თან წაიღეს.

ცოტა ხნის შემდეგ შტაბში დიდი აურზაური ატყდა.
მკვებარა გენერალი უკვალოდ გაქრა. ბევრი ეძებეს, მაგ-
რამ რაღას ნახავდნენ?!

კომუნარების ბაღი

აღბათ ბევრ თქვენგანს უნახავს თბილისში, კომუნა-
რების სახელობის ბაღში დადგმული ძეგლი, მაგრამ
ყველამ როდი იცის მისი ისტორია. 1917 წელს რუსეთ-
ში დაემხო მეფის მთავრობა და გამოცხადდა საბ-
ჭოთა ხელისუფლება. ამ დროს საქართველოში ძალაუფ-
ლება ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა და ბრძოლა გამოუც-
ხადეს საბჭოთა მთავრობას. ისინი სდევნიდნენ ბოლშევი-
კებს, კრძალავდნენ მათს გაზუთებს.

ამის გამო თბილისის მუშებმა 1919 წლის 10 თებერ-
ვალს ალექსანდრეს ბაღში (ასე ერქვა წინათ კომუნარების
ბაღს) დიდი მიტინგი მოაწყეს. მენშევიკებმა ჯარი გაგზავ-
ნეს და სროლა აუტეხეს ამ მიტინგის მონაწილეებს. მუშე-
ბისა და ჯარისკაცების სისხლით მოირწყო იქაურობა.

კომუნარების ბაღში ამ დღის აღსანიშნავად დაიდგა
ოხელისკი. შემდეგ კი მემორიალური ძეგლი აღიმართა.

16.764



კ. მინარძეს
სახ. ნაწ.
სახ. ნაწ.
გო რესპუბ.
მთავრობისათვის



კეთილი

რეჟია ივანიშვილი

მხატვარი მელუაქ აბოშაძე

ჩვენა გვყავს ჭკვიანი ფურდედო, ვეძახით კეთილოს. ის მართლა ძალიან კეთილია. დილით გააყვება სოფლის ნახირს, მთელ დღეს მინდვრებში და ჭალებში დადის, სულ ძოვს, ძოვს, ძოვს.

შუადღეს მენახირეები ნახირს მდინარეზე ჩარეკავენ, ძროხები წყალს დაღევენ, ერთ ხანს დაფიქრებულები დგანან, მერე დანგეზიან, თვალები დახუჭული აქეთ, თითქოს სძინავთ, მაგრამ ყბებს მაინც არ აჩერებენ, სულ იცოხნებიან, იცოხნებიან. ამ დროს მენახირეებიც ვერხვის ქვეშ წვანან და ისინიც ძილ-პურანში არიან, როგორც იტყვიან, თვალს ატყუებენ. ძალს ხომ სძინავს და სძინავს.

მენახირეები ამბობენ, თქვენს კეთილოს ძროხა არ შეედრებაო. ზოგიერთ ძროხასავით კი არ დარბის და ხან აქ ამოსწინწკნის ბალახს, ხან იქ. კეთილო მშვიდად მიუყვება საძოვარს და ყველგან გულიანად მისძოვსო. შესახედობით კი მაინც და მაინც თვალს ვერ მოგტაცებთ. ერთი პატარა რქა აქვს და ისიც შიგნით მიკაუჭებული, მეორე რქა სულ არა

აქვს, ტყეში შინდისთვის გამოუდგია და ძირში მოსტეხია. ამის გამო თუა, ყურები დიდები მოუჩანს, მუცელიც დიდი აქვს, ნელ-ჩაზნექილი და დაბლა დაშვებული. კუდი თითქმის მინამდე უწვდება. როცა ტალახია, კუდი ესვრება და ახალამოვლებულ ჩურჩხელასავით მძიმედ მოსთრევს უკან. არც შავია, არც თაფლა, უფრო მურაა. მხოლოდ დრუნჩი, თვალები და ჩლიქები აქვს ძალიან შავი. ერთადერთი რაც მიმზიდველი აქვს, ეს არის თვალები — დიდი, ფიქრიანი, ალურსიანი თვალები, და კიდევ — ვარდისფერი ვეება ცური. ვინც კი სალამოთი კეთილოს დაინახავს, უეჭველად იტყვის, ერთი უყურეთ იმ დაბალ მურა ძროხას, რამოდენა ცურს მოათრევსო. მოდის, გან-განზე მოადგამს ფეხებს, ნელა მოიქნევს თავს. თვითონვე შემობრუნდება ჩვენი ორლობისკენ. მოახლოვდება, მოვა ჭიშკართან და თუ ჭიშკარი დაკეტილი დახვდა, ცოტას კი დიდდის და მერე დაიზმუვლებს, — მუუუ!

იმ წაშვებ გამოეხმაურება თავისი ხბო ცქეტიო. ის მთელ დღეს ბაღში აბი- და სულ

თოკს ექაჩება, უნდა, რომ განყვიტოს. ცქვიტო წიფილია, ჯერ ახლა ამოებერა რკოსოდენად რქები.

დედა-შვილის ზმულიზე ყველანი დაფაცურდებით, კეთილი მოვიდა, კეთილი მოვიდაო, და გავიქცევით, გავუღებთ ჭიშკარს. კეთილი დინჯად შემოვა, ნავა, მივა საბმურთან და გაჩერდება. იქ უკვე უყრია მწვანე ბალახი და ლობიოს ნარჩევი ჩეჩქი. დაინყებს ჭამას. გამორჩდება ბებია. მოაქვს პატარა სკამი და ვედრო — მოხვედი, ქალოო, ეტყვის კეთილოს და ალერსით ჩამოსვამს ფერდზე ხელს. თუ ძურნები აქვს აკრული, სათითაოდ გააცლის. ჯავრობით, წყველით,

— თქვენ განყვეტა იყოს, თქვენიო, — და აგლეჯს დატვირულ ტკიპებსაც. გადაიხანს ხელებს, კეთილოსაც ჩამოურეცხავს ძუძუებს და დამოძახებს, — ცქვიტო მოიყავა, გენაცვალეო. მე თურთმეტი წლისა ვარ, ცქვიტო — სამი თვის, მაინც მიძნელდება მისი მოთოკვა. რომ ავუსვებ, ერთს გამკრავს, გამეშვება და ფატიფუთით შეუჯარდება დედას ძუძუებთან. წოვს, წოვს, შეუჯალახუნებს შუბლს ცურში. კეთილო ამაზე გაუნყრება, რქით დაუტევს. ბებოც გაუჯავრდება, აი, შე გამაძქარო იწავაროო. ერთ ძუძუს გამოაცლის და მეორეს ჩაუღებს. ოთხივე ძუძუზე რომ მოაგერისებინებს, ესე იგი ცოტ-ცოტას ჩამოანოვინებს, — აბა, ნაიყვანო! გავიქვ მე თოკს, ბებიაც მომეხმარება, ნაიყვანთ და მივაბამთ მესერზე. ბებია ისევ ჩამოპბანს კეთილოს ძუძუებს, სკამს კარგად მიიმარჯვებს და დაინყებს წველას.

— ჩხი-ჩხი-ჩხი! — ჩადის ჩხრილით რძე ვედროში. ამ ხმაზე სულ გიჟდება ცქვიტო, ღამის დაიხრჩოს, ისე ეწევა თოკს.

კეთილო ყველასთვის კეთილია, მაგრამ შვილისთვის მაინც მეტი უნდა, აიხუნეჯავს ნელს, არ უნდა, რომ ბოლომდე ჩამოენველინოს ბებია. მაშინ ბებია ეტყვის, — რას შერებო, დაგარტყაო? — ასწევს დახარტყმელად ხელს. კეთილოს მოერიდება და ისევ ჩამოუშვებს რძეს. ჩამონველის, ჩამონველის ბებო, იმ მომცრო ვედროს თითქმის გაავსებს, ნამოვა, ნამოიღებს რძესაც და სკამსაც. — მიუშვი ცქვიტო, — და მეც მიუშვებ. გაფოთებული სწოვს ცქვიტო, უჯლყუნებს ცურში თავს, ვუნაცვლებით ძუძუებს, — ეყოფა, ძუძუები ბრ დაჭრასო, და ისევ ჩაეჭვიდებათ მე და ბებია თოკს, ისევ გამოიყვარო ცქვიტოს ცალკე. დგას ცქვიტო და ჰაინც ექაჩება თოკს.

სალამობითაც ინველის კეთილო და დილითაც. დილასაც რომ ბევრი მოინველოს, სალამოსთვის ბევრი ბალახი მოუმარტყვებო. მე სულ ნამბვით და ტომრით დავდივარ. ყოველდღე ორ-ორი ტომარა ბალახი მომაქვს, ზოგჯერ სამიც.

ჩვენ ხომ გეყოფნის კეთილოს რძე, — რძედაც ვსვამთ, ფაფეულობასაც ვიკეთებთ, მანონსაც ვადელებთ, — მეზობლებსაც მიუაქეთ პატარა ბავშვებისთვის. მეზობლებიც ძალიან აქებენ კეთილოს რძეს, მათ პატარა ბავშვებს ლოყები ვაშლებით აქეთ დაბერილი და დანითღებულა.

როცა ცოვა, კეთილო და ცქვიტო გომურში არიან. ცქვიტოს თავისი მოწნული აქვს, რომ ნამდაუნუმ არ გამოწოვოს დედა. მობჯენილი აქვს წნელებზე შუბლი და აწვება, აწვება. კეთილო სულ მშვიდად დგას. მერე დაწვება და იცობნის, იცობნის. ხანდახან რალაც დარდიანად ამოიხვნეშებს ხოლმე.

ფურდედო თურმე დედისნაირ ფურს ნიშნავს. ბებია ამბობს, კეთილო თქვენი მეორე, გამზრდელი დედა არისო. სულ მაგისი რძითა ხართ დაზრდილებო. კეთილო ყველას ძალიან გეყვარს, თავის შვილსაც, ჩვენც, დიდებსაც, პატარებსაც. დედა რომ დაინიღებს, რა გეშველება, ეს ამდენი ღირს და ის ამდენი, ბებია ეტყვის, — ნუ გემინია, შვილო, ჩვენი კეთილო კარგადა გეყავდეს და არაფერი გაგვიჭირდებაო.

კეთილოს ძალიან უყვარს, ყელთან რომ ვეფერებით. ძალიან, ძალიან უყვარს, თუ მიხვედი და ყურის ძირში მიაღე შენი თბილი ლოყა. ვითომც არაფერიო, იცობნის, იცობნის, მაგრამ ცოტაზე რომ გამოხვალ და წინიდან შეხედავ, ნახავ, რომ ღაპაღუპით ჩამოსვლია სიკივის ცრემლები ყბებზე.



ქაცვიც

მიდიოდა ერთი კაცი,
 წინ გაეგდო
 თეთრი ვაცი,
 — ვაცი მყავსო,
 პო, რა ვაცი!
 ხარ-კამეჩზეც
 კი არ გაუცვლი!
 მიდიოდა
 გზაზე კაცი,
 დაენია
 ქალი ვარცლით.
 — ვარცლი მაქვსო,
 პო, რა ვარცლი!
 ოდა-სახლზეც
 კი არ გაუცვლი!
 კაცი — ვაცით,
 ქალი ვარცლით.
 დაემგზავრათ
 ბერიკაცი.
 ხელთ ეკავა სავარცხელი,
 გართულიყო
 წვერის ვარცხნით.
 — პო, რა სავარცხელი

მაქვსო,


ოქრო-ვერცხლზეც
 კი არ გაუცვლი!
 კაცი — ვაცით,
 ქალი ვარცლით
 და სავარცხლით
 ბერიკაცი...
 გზაზე ზღარბი
 შეუერთდათ
 ტანს სამოსი
 ეცვა ქაცვის...
 სანამ ზღარბი
 ხმას დაძრავდა,
 გაიკრიფა
 ენად ყველა:

— შეხეთ რას პგავს!
 — რა აცვია!
 — აი, ნაღდი
 საფრთხობელა!
 უცებ შეერთნენ,
 მკაცრზე მკაცრი
 ნამოადგათ
 თავს დეკაცი,
 დაიქუხა:
 — შეი ხალხნო,
 ვიდრე ცემით
 ღდინს გაგაცილით,
 აქ მომართვით
 ვაციც,
 ვარცლიც,
 სავარცხელიც
 და ეგ ქაცვიც!
 ტირის კაცი:
 — აჰა, ვაცი!
 კენესის ქალი:
 — შა, ეს ვარცლიც!
 — ოლონდ თავი დამანებე! —
 აკანკალდა ბერიკაცი, —
 სავარცხელსაც გიფეშქაშებ
 და თმა-წვერსაც მე
 დაგვარცხნი:

მხოლოდ ზღარბი
 არ შეშინდა,
 აიჯაგრა
 ზურგზე ქაცვი.
 შეუგორდა
 ფეხებში და
 სულ დაჩხვლიტა
 ის დეკაცი.
 ააბლავლა,
 ააყვირა:
 — ვაი, ვაი!
 ვინ ხარ, ვინა?!
 ცრემლის ღვრით
 და ასკინკილით
 ცხრა მთა



გადაარბენინა.
 კაცი — ვაცით,
 ქალი — ვარცლით
 და სავარცხლით
 ბერიკაცი
 გზაზე უხმოდ
 იჩქარიან,
 დასდებიან ფერი ნაცრის.
 ვინ ტრაბახობს
 ახლა ვაცით,
 ან ვარცლით და
 ან სავარცხლით,
 როცა ზოგჯერ
 ოქროდ ფასობს
 სულ უბრალო
 ზღარბის ქაცვიც.



შემოდგომა გურიანში

უკვე შრება ეზოში
ტალახი საფლობელი,
უფრო შემოდგომაზე
გიყვარს შენი სოფელი.

ზენა ქარმა დაბერა,
ტახს აშლია ჯაგარი,
შინდის ლაბაბიანი
ინდაურიც აქ არი.

ისევ გართობს ბოჩოლას
ცოხნა ხამუშ-ხამუში...
თხილის ამოსავლები,
ბუშტებს ყრის ფელამუში.

მნიფე ატამს ჩაკბიჩავს
შენი გოგო თხუპნია,
უკვირს — გულზე ნითელი
ვარდი ვინ დაუბნია.

ხილით ნაირნაირით
აუესია კალათი,
თავს იწონებს თავისი
თეთრი დედოფალთი.

ნანობ, ნელში მოხრილა
შენი ანა მამიდა,
ყვინჩილებს და ვარიკებს
საკენკს უყრის ჯამიდან.

ქატო ნყალში არია,
გადათვორდა კოჭობი, —
მიესივნენ, ყირაზე
გადადიან გოჭები...

ყველა დამემომწმება,
ვინც ერთხელ ნამყოფია, —
სოფელს შემოდგომაზე
არაფერი ჯობია.

ამზარ კვიტაიშვილი





ქართულ ოჯახებში ახლა იშვიათადღა შემორჩენი-
ლი სკოფრი. მარცხა თქვენგანმა ალბათ არც კი იცი, რა არის ეს. სკოფრი დიდი, სასურათიანი მურჯი, რომელიც ნინოთ ინახავდნენ ტანსაცმელს, მურჯისკურ-
ობას, ძველ, მარცხ მინახულო — ხელაფურ, რაც უკ-
ნის საუკუნეა შენახული საოჯახო ნივთებს...
„დიდასავ“ აქვს თავისი სკოფრი, სადაც ბევრი მკურ-
თიან მკურნალს დადიანდნენ დადიანობის მისი მკურ-
ბით, ამ სკოფრის მტკიანი დადიანობის სახელსუფ-
ხალი და დროდრო თქვენთვის მისი მკურნალ-
ამოცილებით ის ლექსები და მოთხრობები, ზღაპრები
დასახრობები, მამოცანები, ბავშვებში თქვენს
ლოან რომ უყვარხარ თქვენს დიდებს და მამებს.
ბებებსა და ბაბუებს, უკნის სადაც მამობარია იმა-
„დიდა“ ხშირად უკნის სადაც ბავშვები და მამა-
მება, რაც ქართული მკურნალი, პოეზი და მამა-
ვითუ მოლენდობდნენ ამ მკურნალი, ბევრმა დი-
ვანდელმა გამოჩინდნენ მკურნალმა და მამაბარმა
„დიდას“ აიღო ფეხი. უკნის სადაც ბავშვები და მამა-
დღეს ერთი მათგანი — ნუნა ჩვენი თურნალის
ლექსს ერთი მათგანი — ნუნა ჩვენი თურნალის
გამოცემის პირველ ნაკვეთს, მკურნალს „დიდას“
„ოქტომბერული“ ნაკვეთს, მკურნალს „დიდას“
ლ“ — უფრო მოგეგონებოთ.






თიანეს ნარილი

ზიოგაი ათიოხილი
 ბვირუასო და სანატრულო,
 სანუგარულო ბები!
 დაბელოცნი და დამიოცნე
 მშუღა ნაცნობები!
 ბები, ზემო 'ტებილო ბები!
 ავრემც გენაცვლები!
 მე ცალბე გამომიკზაუნე
 თუთრი ზურხნელები!
 სსვა ხილიც არ დაივიწყო:
 კომში, ვამლი, მსხლები;
 ნამინი და ლეღვის ჩირი,
 თხილი და კელები!
 აბა, სსვა რაღა მოეწყო,
 ჩემო ვარკო ბები,
 ჩემო მალე გამომიკზაუნო,
 კოხლო, მალე გამომიკზაუნო,
 რასაც გეხმელები!
 ბები, დედას გეუიცებო,
 მუდამ მუგარები.
 ბუროს სათვალეს გეუიდი,
 როცა გავიხრდები!

ნ ვ ი ე ა

მოდის წვიმა ციმიცმა,
 მოდის სიმთა წვრიბლით;
 მხემ ნასად გაღიმა
 შვიდფერადი ციალით,
 ტემპ ზირი დაიბანა
 და აძურდა შრიბლით.
 სოფლის ცკვრუშელებსაც
 გაუძლიათ სელები
 და ვუთუნა წვიმის ქვეშ
 ტიან ფესმიძელები.



ბ ბ ბ ბ

ბარბა თანაზვილი

წინ სარქველი დაიდგა,
ცაქვს მტრელის ფთილები,
დაბარბო თითისტარსხედი,
დაძებნა წინდის ჩხირები,
მოქსოვა ჭრელი წინდები,
ბავშვებს ჩავადგა თბილები.



ზ რ ი ი... ზ რ ი ი...

ზიხილ მიილაზვილი

ფრიი, ფრიი, ჭრიი ჭრის,
ხვებიდან ფოთლებს ვრის,
წითელ-ვეთივად ფერებად
ტყუჩა და ველს ვფება,
პო, რა ზღერე დამფება,
პო, რა გვან თენფება.
ფრიი, ფრიი, ჭრიი ჭრის,
ცივიან ცეცხ წვილს ცრის.
შემოდგომას ფერებმა
არქმარე შეუღება.

ფრიი, ფრიი, ჭრიი ჭრის,
თოვლა ჭრის ფრობზე წის,
ვერავინ ვერ ვწევა
აღბაში მაღალ გმწვევა.

ბერიძე და ბელა

ბიოჩი მხარიათი

— ბიოჩიო ბერიძე,
— კეჭურეთს შეღებია!
— სად უფლებსარ, მისობლო,
— რა შეკეთებია?
— მბ რა მკურთხე, ვერ ხედავ
ბიოჩიო მხარიათი!
— პო, ხა, ხა, ხა... საყინე
რისთვის შეგებებია?
— ბერიძე ჭრელი ჭაბუბი
შეღებ დაქუჩებია!
— თორემ მეს კო სორიში
ჭრითხი ბუღებია!
— პოჩილს ამბო, ბერიძე,
დავს ჭრებო მხარია!



ბავშვებს პარი

წელი დასასამდე
მაგ ზუზუნით თავს მახვებია,
შევი შეტისხებია,
თვალეში მტურს რაღორე მავიო,
ჭარი, შარახველითაფ
რომ ვიკოლღე მწუხული,
სადღე მუნ იმალებია—
ლაფიერ და... სილით უნდა
ამოვიესო თვალეში.



დ ბ ბ

ბ რ ი ი ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ

ნატა ღვინა რთველში მიჰყავს
ბენიასთან რჩება თინა,
რა გვონიით,
რომ ვაიგო,
თინამ განა მოიწყინა?
სულაც არა,
დაბარა:
— ჩემო კარგო დაო ნატა,
მე და ბებო მოუთმენლად
ველოდებით ღვინას და ატამს.



ნაღვლიანი ჩიტი



ირინე ბალიაშვილი

უცნაური ჩიტი იყო. არასოდეს გალობდა, არც რაიმეს ამბობდა. იჯდა გარინდული გალიაში და ნაღველს მისცემოდა. არავინ იცოდა, საიდან იყო, ვინ იყო, რა ანუხებდა, რაზე დარდობდა. სახელიც არ იცოდნენ. უბრალოდ ასე იტყოდნენ ხოლმე: — აი, ის ჩიტი, სიხარული რომ არ იცისო.



ყველას უნდოდა პატარა ჩიტის გამხიარულება, მაგრამ ამაოდ... არ უხაროდა ჩიტს, არ ეცდებოდა.

ჩამოიქროლებდა აცეტებული ნიავი და აღერსიანად გაუთამამებოდა გალიის კართან.

— რაო, ჩიტუნავ, ისევ მონყენილი ხარ? — ჰკითხავდა გაკვირვებით. ჩიტი ნაღველიანად და თვაზიანად მიესალმებოდა, მერე კი ისევ მინაბავდა თვალებს.

— გაგიგონიათ ჩიტმა სიხარული არ იცოდეს? — ჰქორაობდნენ ცაცხვის ხეზე შემოსხნდარი კაჭკაჭები, — მე-

ტიჩრობს, თორემ ვანა შეიძლება! — არ ცხრებოდნენ, მაგრამ გული მაინც არ უძლებდათ, რომ არ გამოლაპარაკებოდნენ, — რატომ დუმხარ, გუთაყვა, ნუთუ არაფერი არ გახარებს?...
ჩიტი ისევ ნაღველიანად თვეჩაქინდრული მიუგებდა:

— არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, მეზობლებო...
— გამარჯობა, ჩიტო, — ჩამოირბენდა ხანდახან ბალში ნვიმა და რამდენიმე წვეთს ჩიტსაც მიასხურებდა, — გაიცინე, რა იქნება, გამხიარულდი! — მონყენილი ჩიტი გვერდზე გადაადგებდა კისერს და ჩაჩურჩულებდა:

— გაგიმარჯოს, ნვიმავ, არ ვიცი, რა არის სიხარული და რა ვქნა...
— ძალიან, ძალიან მეტრამლები, — აკაკუნდებოდა ნვიმა და სწრაფად სადღაც გარბოდა.

საბრალო ჩიტს თვითონაც გული სწყდებოდა. ძალიან





უნდა გამხიარულებულიყო, მაგრამ რა ექნა, რომ კულს არაფერი ეკარებოდა.

— რა მესველეა?! — ფიქრობდა თავისთვის, — ალბათ ასეთი დავიბადე, სიხარულისთვის არა ვყოფილვარ გაჩენილი, — ოხრავდა დროდადრო და ცრემლები ჩამოსწანკარებდა ნისკარტზე.

ერთხელ გალიასთან ბავშვი მოვიდა და გამოელაპარაკა:

— ჩიტუნი, რატომ ხარ ასე დაღონებული? გვისმის, როგორ გალობს აივანზე იაღონი. ძალიან გთხოვ, შენც ამღერდი.

მანამდე ჩიტთან ყოველთვის წვერგაბურძენული, მოქუშული კაცი მოდიოდა, და ბიჭუნას დანახვა ჩიტს ახლა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ ხმა არ ამოიწვია, თავი ჩაჰკიდა და ისე ღრმად ამოიხსრა, რომ ისედაც ერთი მუჭა უარესად დაილია.

— შენ რაღაც განუხეხეს, — მიეფერა ბიჭუნა, — მითხარი, გშია? გნფურია?.. მითხარი, — ეფერებოდა და ბუმბულს უსწორებდა. ჩიტმა თავისებურად სანყალობლად გაიღიმა და მიუგო:

— მე დარდისთვის ვარ დაბადებული, პატარა ადამიანი

ნო, ამიტომ არც სიხარული ვიცი და არც გალობა შემიძლია...

— დარდისთვის? შეუძლებელია! — წამოიძახა ბიჭუნამ. — სიხარული ყველამ იცის, ნუთუ შენ არ გამოგიცდია? ბიჭუნა წამით დაფიქრდა, მერე გალიის კარი გამოაღო და ჩიტს გადაწყვეტილ უთხრა: — აბა, გამოდი, გაფრინდი...

— სად? — გაიკვირვა ჩიტმა, — სად უნდა გაფრინდე?

— გაფრინდი, — ისევ გაუმეორა ბიჭუნამ, — გამოდი და მერე ნახავ. — ჩიტმა ფრთხილად გამოყო თავი გარეთ და უცებ ისარივით აიჭრა პაერში. გული ძალუმად აუფართქალდა, უცნაური, მანამდე განუცდელი გრძნობა მოაწვა. ამ გრძნობამ აიტაცა და თავბრულ დაახვია.

— აი, ალბათ ეს არის სიხარული! როგორ მიცემს გული, როგორ მიფართქალებს! ნამდვილად ეს არის სიხარული! — ფლურტულებდა გუნებაში და არემარეს შეჰხაროდა. ნიაფი, მზე, წვიმა, სხვა ჩიტუნები უკან დასდევდნენ ჩიტს და გახარებული გაიძახოდნენ: შეხედეთ, უხარია ჩიტს ამასაც უხარიაო...



ჩისი აშინია ბაჭიას?

ყურბანტურა ბაჭია ტყის სკოლიდან შინ დაბრუნდა. დედა კურდღელმა შვილი სადილად დასვა და თვითონაც მაგიდას მიუსკუბდა. უყურა, როგორ ახრამუნებდა ბაჭია სტაფილოს. მერე აკითხა:

— რაო, შვილო, როგორა გაქვთ საქმე სკოლაში?

— კარგად. ვსწავლობთ.

— ტყე-ტყე რომ დაეჩხარ, მგლები და შეღიებები არ გაწუნებენ?

— იპ, რა უნდა დამაკლონ! რას დამეწვევიან, ბიჭი სკოლის ჩემპიონი ვარ სირბილში!

კურდღელმა გაკვირვებით შეხედა შვილს.

— ხომ არ ტრახახობ? შენ იქნებ არც დათვისა გეშინია?

3. პ. ლ. ს. ს. ს.





— რის მეშინია... დათვი არ არის, მძღვოსნობაში რომ გვავარჯიშებს! შტანგის აწვევას გვასწავლის!

— ისე ვატყობ, ვერც ძაღლი და მონადირე გიცვლიან ფერს, ჰა, ბიჭო? ბაჭიამ უღარღვღად გააპანტურა ყურები:

— რასაკვირველია! ტყის სკოლაში იმასაც გვასწავლიან, როგორ უნდა დაესვათ შშრალზე მონადირეც და მისი ძაღლიც, მაშა!

— შე კი ღლეშგე არ ვიცოდი, ასეთი გულადი თუ იყავი! მაშ, ამ ქვეყნად არავისი და არაფრისა არ გეშინია?

ბაჭიამ ყურები გააპანტურა:
— არა, ერთი რალაცისა ნამდვილად მეშინია.

— მაინც?

— კარნახის, — ჩაისღუკუნა ბაჭიამ. — ხვად კარნახით უნდა ვწეროთ...



სუდანური ზღაპარი

ერთი მოხუცებული კაცი დასწულდა. სიკვდილის წინ თავის ერთადერთ ვაჟს უხმო და უთხრა: — შეილო! ვგრძნობ, მე მალე მოვკვდები და მინდა ჩემს შემდეგ ბედნიერი იქნე. წადი, ქვეყანა შემოიარე, იქნებ გაიგო, როგორ მოიპოვებ ბედნიერებასო.

და ჭაბუკიც, მამის გარდაცვალების შემდეგ, ბედის საძებნელად გაემართა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დიდ მდინარეს მიაღდა, ხედავს, — ნაპირზე გაძვალტყავებული, შიმშილისაგან ფერდებჩაცვნილი, ჯაგლაგი ცხენი დადის.

— საით, ჭაბუკო? — შეეკითხა ცხენი.

— ბედის საძებნელად მივდივარ, იქნებ შენ იცოდე, სად ვიპოვო.

— აი, რას გეტყვი, ჭაბუკო! როცა ახალგაზრდა, ბედღაური ცხენი ვიყავი, ზოგი მერანს მეძახდა, ზოგი რაშს, მივილიდნენ და მეფერებოდნენ, კარგს მაჭმევდნენ და კარგს მასმევდნენ. ბაგისკენ თავსაც არ მივაბარუნებდი, პირთან მოჰქონდათ საკვები! ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. დავბერდი და აღარავის ვაგონდები... არც მეგობარი მყავს, არც პატრონი. გონიერულად მოიხმარე, ჭაბუკო, შენი ახალგაზრდობა. შრომას ნუ ითაკილებ, ნუ დაელოდები, მზამზარეულად მოგართიან ყველაფერი, სწორედ ეგ არის ბედნიერება!...

ჭაბუკმა ცხენს მადლობა უძღვნა და გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ხედავს, გზაზე გველი გამოსრილდა.



— საით გაგინევია, ვაჟკაცო? — შკითხა გველმა.

— ბედის საქმებნელად დავდივარ, არ ვიცი, სად ვიპოვო.

— ყური დამივდე! — უთხრა გველმა, — მთელი სიცოცხლე ასე მეგონა, რაკი შხამიანი ნესტარი მქონდა და ყველას ეშინოდა ჩემი, ყველაზე ძლიერი მე ვიყავი; მაგრამ პირიქით, ყველაზე სუსტი გამოვდექი. ყველას ვჭულვარ, ყველა წყევლა-კრულვას მითვისის და ცდილობს სიცოცხლე მომისწრაფოს. ამიტომ მეც ყველასი მეშინია, ყველას გავურბივარ და ვემალები. ჰოდა, ვაჟკაცო, იცოდე, შენცა გაქვს ნესტარი — შენი ენა, და არავინ დაგესლო უმიზეზოდ. მაშინ შეძლებ უშიშრად გაუსწორო თვალი ყველას... და ეგ არის სწორედ ნამდვილი ბედნიერება.

ჭაბუკმა გველსაც მადლობა შესწირა და გზა განავრმო, იარა, იარა და ერთი ვიეზა ხის ტოტზე ჩამომჯდარი უღამაზესი ცისფერფრთებიანი ფრინველი დაინახა.

— საით მიდიხარ, მზეჭაბუკო? — შეეკითხა ფრინველი ჭაბუკს.


— ბედის საქმებნელად მივდივარ, იქნებ შენ იცოდე, სად ვიპოვნო?

— ყური მივდე, — მიუგო ფრინველმა, — გეტყობა დიდი ხანია გზაში ხარ, მაგრამ ბედნიერება სიახლოვესაც არ გეკარება!.. ეს დაიხსოვე! თვითონ უნდა იყო სილამაზითა და სიკეთით სავსე, მაშინ შენს ირგვლივაც ყველა და ყველაფერი ლამაზი იქნება. აი, მაშინ მოვა ბედნიერება.

ჭაბუკმა ფრინველსაც მადლობა შესწირა და შინ დაბრუნდა. მან უკვე იცოდა, რომ ბედის საქმებნელად შორს წასვლა არ იყო საჭირო.

თარგმნა

ილია კახავაზაძე



საქართველოს რუბი

აზოკ აბულაშვილი

იხვე ისმის ზარების ხმა

ქალაქი თუ სოფელია,

ჩვენი დედა-საქართველო

დღეს სკოლებით მიფენილა.

ბავშვთა ქრიაშული აკვებს

პროსპექტებს თუ სოფლის შუკებს,

ზვალ იხიბი დახატავენ

ზვალის საქართველოს რუკებს.

ხვავ ზღვებო და ხვავ არხები,

ქებებო და ქალაქებო, —

თქვენ შეეკმინა ეს ბავშვებო,

დღეის მგზობს და სანაქებობს.

ხვავ სოფლებო და ყანებო,

უნათლებო ზვალის მშეო,

მული ახალ ხინათლით და

ხინარულით აგვივსო.



მისარიითი

აღამიანს რომ შეხედავს,
გულზე ვარდი ფენინება,
გაიხარონ, გაიხარონ.
ჩენნმა კარგმა.....

მთვარისა ზაჟიძე



ჩაიღნები

ორივე ეს უჩვეულო ჩაიღანი წყლით
არის სავსე, როგორ ფიქრობ, რომელი
უფრო მალე ადუღდება?

ღწიე საყინე საყინე ნიღმნესაყ 'იღნე
-მღნე იღნე საყინე ნიღმნესაყ საყინე 10 გ მ გ რ

გამოხანა

უხილავი, ძლიერი,
მისდევს რკინის გზაწვრილებს
ძალონეს და სიკეთეს
ვილას არ უნაწილებს!
სახლებს, ქუჩებს, ეკრანებს
მისი მაღლი აბრწყინებს.

(სენსაყრწინე)

შოთა სტუფანაძე



სამი ლილი

დაწვევ მადიდაზე სამი ლილი: ერ-
თი, შავი ლილი — შუაში, აქეთ-იქით
კი—თეთრები, გადაადგილე შავი ლი-
ლი მარცხენა ან მარჯვენა მხარეს ისე,
რომ ლილს ხელი არ ახლე.

•ღნმესაყნე მღნე

•იწ იღმნე მღნე რმ იღმნე მღნე მღნე
ღმნე მღნე მღნე მღნე მღნე მღნე მღნე

მოხურთალსა მოედანი



დაჯექი და ფეხები გადა-
ჯვარედინე, ხელები კეფაზე
შემოიწყვე, მკერდი გამართე.
თავი უკან გადაიგდე და
ღრმად ჩაისუნთქე, მერე წინ
გადაიხარე და ამოისუნთქე.

ფეხები ოდნავ გაშალე.
ლოინჯი გაიკეთე, მარცხნივ
გადაიხარე, მარჯვენა გვერდი
გარმონიკასავით გაიწელებე,
ლოტეებიდან ჰაერი ამოვა.
მერე გაიმართე და ჩაისუნთქე.
ახლა მარჯვნივ გადაიხარე
და მარცხენა გვერდი გაი-
ჭიმება გარმონიკასავით. გაი-
მართე და ისევ ჩაისუნთქე.
(გაიმეორე 3—4-ჯერ).

სწორად დადექი, ხელები
მაღლა ამართე, რამდენადაც
ძალა შეგწევს. გაიჭიმე და
ღრმად ჩაისუნთქე. მერე მუხ-
ლებში მოიხარე, ტანი წინ
გადაიხარე და ამოისუნთქე.
(გააკეთე 3—4-ჯერ).



ასე ფეხებგადაჯვარედინე-
ბული იჯექი. ხელები კეფაზე
შემოიწყვე, მარჯვნივ გადაი-
ხარე, გაიმართე და ჩაისუნთქე.
მერე მარცხნივ გადაიხარე,
ისევ გაიმართე და ამოი-
სუნთქე.



ხ მ ო ვ ე ნ ვ ი

ეს ხუთი ჯამბაზი შენ ცირკში არა-
ერთხელ ვინახავს. დააკვირდი მათ
ნახეს, ტუჩებს და გამოიციანი, რომე-
ლი ჯამბაზი რომელ ხმოვანს წარ-
მოთქვამს? (ხმოვნები ხომ გახსოვს—
ა, ე, ი, ო, უ).

ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ი

ჩარჩოში ჩასმული ფეხსაცმლით
კაცმა სილაზე კვალი დატოვა. თუ
მიხედვები, ამ ნაკვალევებიდან რომე-
ლია იმ ფეხსაცმელის ანაბეჭდი?



წ ი ნ ლ ე ვ ი

ამ ფეხბურთელმა ცალი
წინდა დაკარგა. ეძებს,
ეძებს, ვერ უპოვნია. აბა
რომელი მიეზმარება და
მოაძებნინებს?

ტ. შიქ
სახე კ. სსკ
კ. რუსაძე
შეგლიშოსიძე

16.7.64

660/188



თქვენ იტყვი, ასეთი თამაში არავის გაგვიგონია. თვალუჭობანა სხვა თამაშია და დაჭერობანა სხვაო. და მართალიც იქნებით. მაგრამ ეს კიდევ სულ სხვა თამაშია—ზამთარში ან უამინდობაში, ოთახში სათამაშო.

სამოთხის ან მეტი ბავშვი თუ შეიყარეთ, აიღეთ „დილის“ ეს გვერდი, გადაკეცეთ, რომ წინ მხოლოდ ნახტიც დაიღოთ მეგრე კი გაითვალეთ. ვინც დარჩება, ის დაიხუტოს, თვალდახუტულმა ალაღებდზე დაადოს თითი ნახატს და რომელ ცხოველსა თუ ფრინველსაც „დაიჭერს“ მისი ხელი, იმის ხმა გამოსცეს. მაგრამ ეს არა ყბარა. ამავე დროს ბავშვმა უნდა თქვას, რა ჰქვია ამ ცხოველის ხმია, ნობას. ვინც ძაღლს ან კატას „დაიჭერს“ იმას რა უჭირს, არც დაყვებება და დაქნავლგაა ძნელი და ისიც ყველამ იცის, რომ ძაღლის ხმიანობას „ყუფა“ ჰქვია და კატისას— „კნავილი“. მაგრამ ზოგი ცხოველისა თუ ფრინველის ხმაც ძნელი გამოსაცემია და ხშიანობის სახელიც ბევრმა არ იცის. საქმეც ეს

არის! აბა ვინ აჯობებს! ვინც თამაშის ოთხივე პირობას შეასრულებს, იმას 2 ტულა თვლებს, ვინც ერთ-ერთს—იმას 1 ტულა; ვინც ვერც ერთს—0. ერთბაშად 5 ტულა ჩაგეთვლებათ, თუ გაჭირვებისას—არცოდნის ან სხვა შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებულ ან სახუმარო გადაწყვეტილებას მიიღებთ. მსაჯობისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ვინმე უფროსთაგანს—უფროს დას ან ძმას, გშობლებს, ერთი სიტყვით, ვინც თქვენს ახლოს



მხატვარი ნანა სულციშვილი

იტყვება. თამაში ახალი გათვლის შემდეგ გაგრძელდება. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მოაგროვებს ტულათა დათქმულ რაოდენობას.

საბარძიველს
ალკი ცაჩხა
და 3. ი. ლენინის
სახელობის
პიონერთა
მკვლევარების
რესპუბლიკური
საბჭოს
ფურცელი
საბარძიველს
სახელობის

ელაზე ნახტი დიმიტრი ზარაფაშვილისა

მთავარი რედაქტორი შუბრან მამბარაძე

სარედაქციო კლდევა: ვიზაბაშ ავთაბაძე, ილია ანთოლაძე, კუპარი გომიზიანი, ალთოხოს და შარბანაშვილი, ლეილა ბრატა, ზურაბ ლეშაშვილი (კამე ზღვარი), განანა კოსბიძე, ზულა ლოსაბაძე, რამა, მათაშა მადლიშვილი, ზურაბ ნაშირაძე, შიროპი კომინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ვიპი ანთაბაძე, ვიპი წილაშვილი, ვიპი ვიპინაძე.

ტარადქტორი ვიპი წარბილაძე

მისამართი: რედაქცია, ვაჟა-ფშაველას, სახლი — თბილისი, ჭავჭავაძის, 14. ტელ: მთ. რედაქცია — 83-81-36, 83-84-19, 83-80-18, 83-81-30, 83-85-18, სამხ. რედაქცია — 83-89-18, განყოფ. 83-10-92, 83-88-18, 83-88-18

გაიფიცა: საბჭოთა: 14 IX-81 წ., ხელმოწერილია: დისპეტხე: 10 IX-81 წ., საბჭოთა: 6 X 1981 წ. წაბ. ფურც. 28, ტრავა: 174 300 წყე. № 2350, „დიახ“ № 11, ჟურნალ და მადნიკა, სტრიკოვ, და გრუზინკოთა ენაზე. მთავარი რედაქტორი: მ. მანავარიანი, თბილისი, ვლ. ლენინი, 14, ტელ: 20 კ

გამოცემის
84-ე წელი
საქ. კ. ც. კ. ს.
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии